საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №266

2002 წლის 16 ოქტომბერი

ქ. თბილისი

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 59-ე და 73-ე მუხლების, აგრეთვე „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, საკრედიტო კავშირების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების და სალიკვიდაციო სამუშაოების კანონის შესაბამისად წარმართვის, საკრედიტო კავშირების მეანაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების დაცვისა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების თანდართული წესი.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველომ უზრუნველყოს ამ წესის მოთხოვნათა შესრულების კონტროლი.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მანაგაძე

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, აგრეთვე „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და აწესრიგებს ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების და მათი ლიკვიდაციის პროცედურებს.
2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნარობის დადგენა განეკუთვნება საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციას.
3. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნარობა დგინდება მისი როგორც დოკუმენტალური შემოწმების, ისე ადგილზე ინსპექტირების მასალებზე დაყრდნობით და წარმოადგენს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების რეაბილიტაციის ან მისი გადახდისუუნარობის (გაკოტრების) თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის მიღების საფუძველს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გადახდისუუნარო არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება გადახდისუუნაროა, როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს ვადამოსული გადახდის ვალდებულებები;

ბ) ადმინისტრაციული აქტი – არის ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ამოქმედების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდიალური სამართლებრივი აქტი;

გ) საკუთარი კაპიტალი – არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ;

დ) აქტივები – არის დაწესებულების განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგია და რის საფუძველზეც დაწესებულება მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას;

ე) ვალდებულება – არის დაწესებულების მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგად და რომლის შესრულებაც გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან;

ვ) რესტრუქტურიზაცია – არის დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი და კონტროლირებადი

პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის საქმიანობის სფეროს ან საქმიანობის წარმართვის ხერხებს;

ზ) ბალანსი – არის ბუღალტრული ანგარიშგების ძირითადი ფორმა, რომელშიც აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია შესაბამისად როგორც მოკლე- და გრძელვადიანი ან ლიკვიდობის მიხედვით;

თ) ვადაგადაცილებული სესხი – არის სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ მოხდა მათთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ვადაში;

ი) პარტნიორი – არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების წევრი, რომელსაც აქვს დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები მის მიმართ;

კ) დროებითი ადმინისტრაცია – ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების განსაკუთრებული მუშაობის რეჟიმი, რომელიც მიმართულია დაწესებულების ფინანსური სიძნელეების, მათ შორის გადახდისუუნარობის აღმოსაფხვრელად;

ლ) დროებითი ადმინისტრატორი – არის ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებაში დროებითი ადმინისტრაციული რეჟიმის განსახორციელებლად დანიშნული პირი;

მ) რეაბილიტაცია – არის ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ფინანსური სიძნელეების დაძლევას, ლიკვიდურობის აღდგენას და ლიკვიდაციის თავიდან აცილებას;

ნ) გაკოტრების სუბიექტი – არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, რომლის მიმართაც გამოიყენება გაკოტრების საქმის წარმოება;

ო) ლიკვიდობა – არის საკმარისი სახსრების არსებობა ანგარიშებიდან თანხების მოსახსნელად და სხვა ფინანსური ვალდებულებების თავის დროზე დასაფარავად;

პ) საფინანსო საქმიანობა – არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგადაც რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების კაპიტალი;

ჟ) გაკოტრების საფუძველი – არის გაკოტრების საქმის გახსნის მომენტისათვის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნარობა;

რ) ლიკვიდაცია – არის არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების ლიკვიდაცია გაკოტრების საქმის წარმოების შედეგად;

ს) ლიკვიდატორი – არის ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების გაკოტრების საქმის საწარმოებლად დანიშნული პირი;

ტ) ფინანსური ანგარიშგება – არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი;

უ) უფლებამოსილი საზედამხედველო სამსახური – არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭო და საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველო.

მუხლი 3. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისგადახდისუუნარობის გამომწვევი მიზეზები და მათიაღმოფხვრის ღონისძიებები

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნარობას ძირითადად განაპირობებს:

ა) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მართვისათვის პასუხისმგებელი პირების არაკომპეტენტურობა და უუნარობა, საიმედოდ და უსაფრთხოდ მართონ მათდამი რწმუნებული დაწესებულება;

ბ) არაკვალიფიცირებული კადრები;

გ) სათანადო საზედამხედველო სამსახურების მიერ არსებულ პრობლემებზე დაგვიანებით რეაგირება ან მათი საერთოდ უყურადღებოდ დატოვება;

დ) არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემო;

ე) ხანძარი, სტიქიური უბედურება და სხვა ფორსმაჟორული გარემოებები.

2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნარობის წინაპირობაა დაწესებულების საფინანსო საქმიანობის მკვეთრი გაუარესება, რაც ძირითადად ვლინდება საკუთარი კაპიტალის სტრუქტურული ცვლილებით და რაოდენობრივი შემცირებით, მთლიან აქტივებში ძნელად სარეალიზაციო აქტივების, მათ შორის ვადაგადაცილებული სესხების ხვედრითი წილის ზრდით, ფულადი ნაკადების შემცირებით და, შესაბამისად, ლიკვიდობის გაუარესებით.

3. იმის გამო, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური მაჩვენებლები ასახულია არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ფინანსურ ანგარიშგებაში, დაწესებულების ზედამხედველობისათვის უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან როგორც დოკუმენტური, ისე ადგილზე ინსპექტირების საფუძველზე გააანალიზონ და შეაფასონ დაწესებულების საფინანსო საქმიანობა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საფინანსო საქმიანობის გაუარესების გამომწვევი მიზეზების გამოვლენას და მათ აღმოსაფხვრელად ,,არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ სანქციების გამოყენების წესით" გათვალისწინებული ზომების გამოყენების თაობაზე დასკვნა ამავე წესის მე-3 მუხლის შესაბამისად წარუდგინონ გადაწყვეტილების მიღებისათვის უფლებამოსილ ეროვნული ბანკის სათანადო ხელმძღვანელ პირებს.

მუხლი 4. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისგადახდისუუნაროდ გამოცხადების საფუძვლები და მათიგანხილვა

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ღონისძიებების მიუხედავად, მისი საქმიანობის გაუარესებისა და ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ან ადგილზე ინსპექტირების მასალების საფუძველზე გადახდისუუნარობის დადგენისას, დაწესებულების ზედამხედველობისათვის პასუხისმგებელი პირი წარუდგენს დასკვნას დაწესებულების გადახდისუუნაროდ გამოცხადების და მისთვის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის უფლებამოსილ ეროვნული ბანკის სათანადო ხელმძღვანელ პირებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საკითხის განხილვის პროცესში შეიძლება წარმოიშვას დაწესებულების საქმიანობის გაჯანსაღების (რეაბილიტაციის) რეალური პირობები, შესაბამისად, შეიძლება ჩამოყალიბდეს დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების და ლიკვიდურობის აღდგენის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი ვალების განსაზღვრულ ვადებში დაფარვის გათვალისწინებით, რაც შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების მიღებაზე თავის შეკავების ან მისი შეცვლის საფუძველი.

3. დაწესებულების რეაბილიტაციის გეგმა მისი მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ ორგანიზაციულ, ფინანსურ-ეკონომიკურ და რესტრუქტურიზაციის ღონისძიებებს. მასში ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნეს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით.

4. რეაბილიტაციის გეგმას შეიმუშავებს, ამტკიცებს და ახორციელებს:

ა) დაწესებულების ხელმძღვანელობა და/ან

ბ) ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული დროებითი ადმინისტრატორი.

მუხლი 5. დროებითი ადმინისტრატორისუფლებამოსილება რეაბილიტაციის პერიოდში

1. დროებითი ადმინისტრატორი ახორციელებს რეაბილიტაციის გეგმას, აგრეთვე მართავს და განკარგავს მოვალის ქონებას მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად. მას უფლება აქვს რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევად განახორციელოს ნებისმიერი მართლზომიერი მოქმედება.

2. დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს დადოს გარიგებები და ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობით განკარგოს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ის უძრავი ქონება, რომელიც სცილდება რეაბილიტაციის გეგმას.

3. დროებით ადმინისტრატორს შეუძლია ეროვნულ ბანკს მოსთხოვოს რეაბილიტაციის შეწყვეტა რეაბილიტაციის მიზნის მიუღწევლობის თაობაზე შესაბამისი დასკვნის წარდგენით.

მუხლი 6. დროებითი ადმინისტრატორის გასამრჯელორეაბილიტაციის პერიოდში

1. დროებითი ადმინისტრატორის გასამრჯელოს იხდის ეროვნული ბანკი.

2. გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენისას დროებით ადმინისტრატორს თანხები აუნაზღაურდება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების სახსრებიდან.

მუხლი 7. რეაბილიტაციის დასრულება და შეწყვეტა

1. რეაბილიტაცია დასრულდება:

ა) თუ მიღწეული იქნა მისი მიზანი;

ბ) გავიდა რეაბილიტაციისათვის დადგენილი ვადა და მიზანი მიღწეული არ არის;

გ) ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, დროებითი ადმინისტრატორის დასკვნის საფუძველზე.

2. რეაბილიტაცია დასრულებულად ან შეწყვეტილად ითვლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის (ან ვიცე-პრეზიდენტის) განკარგულების გამოცემის თარიღიდან, ამასთან, თუ რეაბილიტაცია შეწყდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე განკაგულებით გახსნილად ცხადდება არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების გაკოტრების საქმე.

მუხლი 8. გადახდისუუნაროდ გამოცხადება და გაკოტრებისსაქმის წარმოების გახსნა

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გადახდისუუნაროდ აცხადებს მხოლოდ ეროვნული ბანკი, თუ:

ა) დადგინდება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიერ ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულების უუნარობა;

ბ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების კრედიტორებმა, განცხადებით და დოკუმენტური მტკიცებულებით მიმართეს ეროვნულ ბანკს, რომ დაწესებულება მათ მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას არ უზრუნველყოფს;

გ) გავიდა რეაბილიტაციისათვის დადგენილი ვადა და მიზანი მიღწეული არ არის.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისას ეროვნული ბანკი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის სრულყოფილი ანალიზისა და სიტუაციის გამოსასწორებლად გატარებული ღონისძიებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ გამოსცემს ადმინისტაციულ აქტს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების თაობაზე.

3. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გაკოტრების საქმე გახსნილად ითვლება მისი გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნებისთანავე. მასში აუცილებლად უნდა მიეთითოს:

ა) იმ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი,

რომელიც ცხადდება გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად;

ბ) რომ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას ეკრძალება თავისი ქონების მართვა და განკარგვა;

გ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში დანიშნული ლიკვიდატორის სახელი და გვარი. ლიკვიდატორად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ასრულებდა დროებითი ადმინისტრა ტორის მოვალეობას;

დ) რომ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების კრედიტორებმა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგინონ ლიკვიდატორს თავიანთი მოთხოვნები შესაბამისი ვალუტით თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად;

ე) რომ ყველა იმ პირმა, რომელიც ფლობს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ქონების მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ რისამე შესრულებისათვის, უნდა უზრუნველყოს ამ ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება უშუალოდ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის;

ვ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დღე და საათი;

ზ) კრედიტორთა პირველი კრების თარიღი.

მუხლი 9. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნება

1. ადმინისტრაციული აქტი გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში და საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის საშუალებით. ადმინისტრაციული აქტის გავრცელებიდან 2 დღის შემდეგ გამოქვეყნება შესრულებულად ითვლება გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის მიმართ.

2. ეროვნული ბანკი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს ყველა იმ ბანკს და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას, რომელთანაც ამ დაწესებულებას აქვს საქმიანი ურთიერთობა.

3. ადმინისტრაციული აქტი გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ უნდა გაეგზავნოს:

ა) თვით არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებას, ასევე მის ლიკვიდატორს;

ბ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ძირითად კრედიტორებს;

დ) მარეგისტრირებელ უწყებებს მოთხოვნით, რომ მონაცემები გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ შეიტანონ შესაბამისად სამეწარმეო და საჯარო რეესტრში.

მუხლი 10. გაკოტრების საქმის წარმოება

1. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისთანავე არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება კარგავს გაკოტრების მასის განკარგვისა და მართვის უფლებას.

2. ლიკვიდატორმა უნდა მართოს და განკარგოს გაკოტრების მასა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება.

3. გაკოტრების წარმოების საქმის გახსნისთანავე არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები ექვემდებარება მოთხოვნათა დაფარვის კანონისმიერ რიგითობას ,,არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად.

4. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების შემდეგ კრედიტორი ვალდებულია არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ ვალდებულების შესრულება განახორციელოს გაკოტრების მასაში.

5. გაკოტრების საქმის წარმოებისას ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა დაიშვება მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და ,,არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. დაუშვებელია კრედიტორმა ან ლიკვიდატორმა მოითხოვოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, თუ გაქვითვის გარემოება წარმოიშვა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემდეგ და იგი იწვევს „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული რიგითობის დარღვევას.

მუხლი 11. ლიკვიდატორის ვალდებულება

ლიკვიდატორი ვალდებულია:

ა) დაწესებულების საქმეს გაუძღვეს ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით და კეთილსინდისიერებით. ამ მოვალეობის შეუსრულებლობისას იგი კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხს აგებს ეროვნული ბანკის, როგორც საზედამხედველო ორგანოს, და იმ კრედიტორთა წინაშე, რომელთა მიმართაც დაუშვა ბრალეული ქმედება;

ბ) დაწესებულების ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების საფუძველზე გადაიფორმოს საბანკო ანგარიშები და დამოუკიდებლად განკარგოს ანგარიშებზე რიცხული თანხები, რისთვისაც მან შესაბამის ბანკებში უნდა წარადგინოს ხელმოწერისა და ბეჭდის ნიმუშების დამოწმებული ბარათი;

გ) დანიშვნისთანავე შეადგინოს ბალანსი დაწესებულების საბუღალტრო წიგნიდან ან სხვა წყაროებიდან, ცნობილ კრედიტორებს დაწესებულების ლიკვიდაციის თაობაზე აცნობოს დაზღვეული/შეკვეთილი წერილით,

ხოლო უცნობ კრედიტორებს და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია – საჯარო განცხადებით და მოიწვიოს ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისათვის;

დ) გაუგზავნოს დაწესებულების სააღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად დაზღვეული წერილით ამონაწერები თანხის შესახებ ყველა მეანაბრეს, დანარჩენ კრედიტორებს. წერილში უნდა აღინიშნოს, რომ ლიკვიდატორისათვის პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია წერილის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში;

ე) დანიშვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს ლიკვიდატორის ბეჭდისა და შტამპის დამზადება, ხოლო სალიკვიდაციო დაწესებულების (სტრუქტურული ერთეულების ჩათვლით) ყველა ბეჭდის და შტამპის განადგურების მიზნით ეროვნული ბანკისთვის ჩაბარება;

ვ) სალიკვიდაციო დაწესებულების (სტრუქტურული ერთეულის) ყოფილი ხელმძღვანელის მიერ 10 დღის განმავლობაში შტამპისა და ბეჭდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ საქმე გადასცეს შესაბამის სამართალდაცვის ორგანოებს;

ზ) დანიშვნისთანავე მიიღოს აუცილებელი ზომები იმ ფუნქციების შეწყვეტისათვის, რომელსაც ასრულებდა არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, ასევე მისთვის აქტივებისა და ქონების დასაბრუნებლად და დაწესებულების ანგარიშების მიხედვით ანგარიშსწორების განსახორციელებლად;

თ) აწარმოოს სწორი საბუღალტრო ჩანაწერების განხორციელებით ზუსტი აღრიცხვა-ანგარიშგება;

ი) წარუდგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოს სალიკვიდაციო დაწესებულების ანგარიშგება დადგენილ ვადებში და დადგენილი ფორმით;

კ) დაწესებულებაში გაფლანგვა-განიავებისა და დატაცების ფაქტების გამოვლენისთანავე ზომების მიღების მიზნით საქმეები გადასცეს სამართალდაცვის ორგანოებს;

ლ) სამართლიანად მოეპყროს დაწესებულების კლიენტებს;

მ) განახორციელოს დაწესებულების ყველა აქტივის და ვალდებულების ინვენტარიზაცია და კატალოგიზაცია;

ნ) დაწესებულების აქტივების მაქსიმალურად ამოღების მიზნით უზრუნველყოს ყველა სახის ღონისძიების გატარება, სასამართლო ორგანოებში საქმის აღძვრის და სააღსრულებო ბიუროებისათვის საქმეების გადაცემის ჩათვლით;

ო) განახორციელოს დაწესებულების მიმართ წამოყენებული მოთხოვნების კანონიერების შემოწმება, გირაოთი და იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებების და სხვა კრედიტორების რიგითობით გასტუმრება;

პ) მოახდინოს დაწესებულების ძირითადი საშუალებების რეალიზაცია საჯარო გაყიდვით;

ჟ) მოაწესრიგოს ურთიერთობა ან დადოს შეთანხმება კრედიტორებთან ან იმ პირებთან, რომლებსაც დაწესებულების მიმართ აქვთ კონკრეტული თუ პირობითი მოთხოვნა, რომელიც შესაძლოა გახდეს ზარალის მომტანი დაწესებულებისთვის, ანდა რომლის გამოც მას შეიძლება დამატებითი ვალდებულება დაეკისროს;

რ) დაწესებულების დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინოს პარტნიორების მიერ წილების თაობაზე დამადასტურებელი საბუთების წარუდგენლობის პირობებში მათი პრეტენზიების სამართლიანობა;

ს) გადასცეს ეროვნულ ბანკს მფლობელობაში მესაკუთრის გამოვლენის მიზნით გამოუთხოვადი და მოუკითხავი ფულადი სახსრები და ქონება, რომელიც ერიცხება დაწესებულებას ხელშეკრულების ან სხვა დოკუმენტების საფუძველზე;

ტ) მხარეთა შორის მორიგების თაობაზე განცხადების არსებობისას შეიმუშაოს სამომრიგებლო წინადადება;

უ) დაასრულოს დაწესებულების ლიკვიდაცია და სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულების თაობაზე ანგარიში, ხელმოწერით და ბეჭდით დადასტურებული აქტის დართვით წარუდგინოს კრედიტორთა კრებას, ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკს.

მუხლი 12. ლიკვიდატორის უფლებები

1. ლიკვიდატორი წარმოადგენს დაწესებულებას. ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში მას შეუძლია წარმართოს დაწესებულებასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავროს სასამართლო საქმეები ან მორიგებით დაასრულოს დავები, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთოს ახალ გარიგებებში, თავისუფლად გაყიდოს აქტივები, ფილიალების ჩათვლით.

2. ლიკვიდატორს დანიშვნის დღიდან შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს:

ა) გარიგება დაწესებულების თანამშრომლის დაქირავების შესახებ;

ბ) კონტრაქტები მომსახურების შესახებ, რომლის განხორციელებაშიც დაწესებულება იღებდა მონაწილეობას;

გ) დაწესებულების ნებისმიერი ვალდებულება, როგორც უძრავი ქონების მოიჯარადრისა, თუ მეიჯარეს (რომელიც 60 დღით ადრე უნდა იქნეს გაფრთხილებული იმის თაობაზე, რომ დაწესებულება აპირებს გამოიყენოს საიჯარო შეთანხმების გაუქმების უფლება) არა აქვს მოთხოვნა საიჯარო გადასახდელზე, გარდა იმ თანხისა, რომელიც დაირიცხა შეთანხმების გაუქმების თარიღისათვის და არ მოითხოვს ასეთი გაუქმების შედეგად წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურებას.

3. ლიკვიდატორი უფლებამოსილია:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ადმინისტრატორის მიერ დროებითი ადმინისტრატორის ან ლიკვიდატორის დანიშვნამდე კანონით დადგენილ ვადებში განხორციელებული მოქმედება ანდა გარიგება და მოითხოვოს მათი ბათილობა, თუ ამის შედეგად

დაწესებულებასთან დაკავშირებულმა პირებმა ამ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი, ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის (მისი კრედიტორებისათვის) ზიანის მიყენება. სარჩელის შეტანა შეიძლება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნიდან მხოლოდ სამი წლის განმავლობაში.

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით შექმნას (ან არ შექმნას) სალიკვიდაციო კომისია. სალიკვიდაციო კომისიის შექმნისას იგი წერილობით აცნობებს ეროვნულ ბანკს სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობის და მათი უფლება-მოვალეობების თაობაზე;

გ) აუცილებლობის გათვალისწინებით დაიქირაოს გარეშე სპეციალისტები;

დ) გააფორმოს ხელშეკრულება საქართველოს მთავარ საარქივო სამსახურთან, დაწესებულების საბუთების დადგენილი წესით აღრიცხვის, აკინძვის და მათი საარქივო სამსახურისათვის შესანახად გადაცემაზე;

ე) გაყიდოს უზრუნველყოფის მიზნით მესამე პირისაგან მიღებული საგანი, აგრეთვე საგანი, რომელიც გირავნობის უფლებით არის დატვირთული;

ვ) გადადოს იმ ნივთის რეალიზაცია, რომლის მიმართაც პრეტენზია აქვს მესამე პირს, საკუთრების ან გირავნობის უფლების არსებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 13. კრედიტორთა კრება

1. გაკოტრების საქმის წარმოებისას თავის მოთხოვნებთან დაკავშირებულ უფლებებს კრედიტორები ახორციელებენ კრედიტორთა კრებაზე, რომელსაც მოიწვევს ლიკვიდატორი მისი დანიშვნიდან სამი თვის განმავლობაში.

2. კრედიტორთა კრება მოიწვევა აგრეთვე ლიკვიდატორის, კრედიტორთა კომიტეტის ან გაკოტრების იმ კრედიტორის მიმართვის საფუძველზე, რომელსაც გაცხადებული მოთხოვნების შესაბამისად ეკუთვნის მოთხოვნების საერთო თანხის სულ ცოტა 1/5. ლიკვიდატორი ვალდებულია მოიწვიოს კრედიტორთა კრება მიმართვიდან არა უგვიანეს 14 დღისა.

3. ინფორმაცია კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში კრების ჩატარებამდე არა უგვიანეს 7 დღისა.

4. კრებაზე ყოველ კრედიტორს აქვს თავისი მოთხოვნის პროპორციული რაოდენობის ხმა. კრედიტორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით დამსწრე კრედიტორთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. შეთანხმების მიუღწევლობის ან ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ლიკვიდატორი.

5. კრედიტორთა კრება უფლებამოსილია იმსჯელოს საგაკოტრებო მორიგების თაობაზე.

მუხლი 14. კრედიტორთა კომიტეტი

1. კრედიტორთა კრებას შეუძლია შექმნას კრედიტორთა კომიტეტი, რომელიც შედგება გაკოტრების კრედიტორებისა და სხვა კომპეტენტური პირებისაგან. კრედიტორთა კომიტეტის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს კრედიტორთა კრება.

2. კრედიტორთა კომიტეტი ვალდებულია დაეხმაროს და კონტროლი გაუწიოს ლიკვიდატორს მისი საქმიანობის განხორციელებისას.

3. კრედიტორთა კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 15. საგაკოტრებო მორიგება

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გაკოტრების საქმე შეიძლება დასრულდეს საგაკოტრებო მორიგებით.

2. საგაკოტრებო მორიგების თაობაზე განცხადების შეტანის უფლება აქვს არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების ყოველ პარტნიორს, გაკოტრების ყოველ კრედიტორს, კრედიტორთა კრებას, კრედიტორთა კომიტეტს. სამომრიგებლო წინადადებების შემუშავება ევალება ლიკვიდატორს, რაც არ უშლის სხვა ნებისმიერ განმცხადებელს წინადადებების მომზადებისას ლიკვიდატორს წარუდგინოს განსხვავებული წინადადებები.

3. სამომრიგებლო წინადადებაში უნდა მიეთითოს, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილონ კრედიტორები, მოხდება თუ არა მათი უზრუნველყოფა და რა სახით. ამასთან უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორები (მეანაბრეები) უნდა დაკმაყოფილდნენ პირველ რიგში. ერთი რიგის ყველა კრედიტორს მიენიჭება თანაბარი უფლებები.

4. საგაკოტრებო მორიგება უნდა დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტით. დამტკიცებაზე უარი ითქმება, თუ მორიგება არაკეთილსინდისიერი გზით არის დადებული, იგი კრედიტორთა ნაწილს აყენებს გაუმართლებელ ზარალს ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლების გამო.

მუხლი 16. განაწილება

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები, რომელთა საფუძველია გირაო, დაკმაყოფილდება შესაბამისი შეთანხმების პირობების თანახმად (გირაოს ღირებულების ფარგლებში), ხოლო ყველა სხვა კანონიერი მოთხოვნა უნდა დაიფაროს შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკი და სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებას წარმოეშვა ვალდებულება საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ;

ბ) მეანაბრეები;

გ) სხვა დანარჩენი მოთხოვნები არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ.

2. თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტებში აღნიშნული მოთხოვნების სრულად დაფარვისათვის, მაშინ ყველა შესაბამისი მოთხოვნა უნდა დაიფაროს თანაბარი პროპორციით.

მუხლი 17. დამატებითი განაწილება

1. თუ საბოლოო განაწილების შემდეგ ლიკვიდატორის მიერ გაკოტრების მასაში შეჩერებული თანხები გამოთავისუფლდება იმავე მასის სასარგებლოდ ან გაკოტრების მასიდან გაცემული თანხები მასვე დაუბრუნდება, ლიკვიდატორი ეროვნული ბანკის მითითების საფუძველზე დამატებით გაანაწილებს მათ საბოლოო ცხრილის საფუძველზე. ასეთი თანხების მართვისა და განაწილების შესახებ წარსადგენი ანგარიში უნდა შეამოწმოს და დაამტკიცოს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა.

2. იგივე წესი მოქმედებს, თუ საბოლოო განაწილების ან საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ აღმოჩნდება გაკოტრების მასას მიკუთვნებული ქონების ობიექტი.

3. თუ განაწილების, მათ შორის დამატებითი განაწილების, შემდეგ გაკოტრების მასაში აღარ დარჩა თანხები, მაშინ საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს გადაწყვეტილებას გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების შესახებ.

მუხლი 18. გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრება

1. დაწესებულების ქონების რეალიზაციის დამთავრების შემდეგ, ლიკვიდატორმა უნდა შეადგინოს საბოლოო ანგარიში და წარუდგინოს იგი კრედიტორთა კრებას, ასევე ეროვნულ ბანკს შესაბამის დოკუმენტებთან და კრედიტორთა კომიტეტის შენიშვნებთან ერთად, გაკოტრების საქმის ყველა მონაწილისათვის გასაცნობად.

2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას და ნებისმიერ კრედიტორს უფლება აქვთ გაასაჩივრონ საბოლოო ანგარიში მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში. თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში საბოლოო ანგარიშის წინააღმდეგ არცერთი უფლებამოსილი პირი ოფიციალურად არ წარუდგენს პრეტენზიას ლიკვიდატორს ასლის ეროვნულ ბანკში გაგზავნით, ანგარიში ჩაითვლება მოწონებულად და აღიარებულად.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშის აღიარება არის გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების საფუძველი, რომელსაც უგზავნის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მარეგისტრირებელ უწყებას.